სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 ივლისი, 2026 წელი

წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება N07-01/32

ბსუ-ს სარგებლობაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ. №12-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სახურავზე არსებული 2 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე–10 მუხლის, ,,ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) ნუმერაციის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 15 სექტემბრის №01-10/77 ბრძანების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 27 ივლისის სხდომის N07-02/05 ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მიეცეს თანხმობა ბსუ-ს №4 კორპუსში (ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12), ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობის (სასწავლო კორპუსი) სახურავზე არსებული ფართის - 2 კვ.მ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ელექტრონული აუქციონის წესით, 3 (სამი) წლის ვადით იჯარის ფორმით გაცემაზე, მობილური კავშირგაბმულობის გადამცემი ანტენის განთავსების მიზნით.
2. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**